

Democracy and "Powerpointocracy" - "ვარდების რევოლუციის" PR-ის თაფლობის თვის დასასრული

ქართული სახელისუფლებო PR-ი ხშირად აპელირებს საქართველოზე, როგორც ერთერთ წარმატებულ (თუ ყველაზე წარმატებულ არა) სახელმწიფოზე: "ერთერთი საუკეთესო ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ", "სამოთხე დიდი უცხოური ინვესტიციებისათვის", "პირველი კორუფციასთან მებრძოლი ქვეყნებს შორის" და სხვ.

ამ რეკლამის სამიზნე საერთაშორისო საზოგადოებაზე მეტად (და უპირველეს ყოვლისა) საკუთარი მოსახლეობაა. შედეგად სახეზეა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ყოველივე ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, ხოლო მეორე, უფრო სკეპტიკურად განწყობილ, ნაწილს საპირისპირო არგუმენტების პოვნა უჭირს.

შემთხვევითი არ არის, რომ სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს საზოგადოებრივი ოპტიმიზმის მაღალ დონეს. რიგითი მოქალაქე, ვისი ინფორმირების ერთადერთ წყაროს ქართული ტელევიზია წარმოადგენს, თვლის, რომ მართალია თვითონ ცუდად ცხოვრობს, მაგრამ ქვეყანაში ზოგადად "რაცაღ მანც კეთდება."

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა არ ფლობს ინგლისურ ენას, შესაბამისად არ გააჩნია ალტერნატიულ წყაროებზე ხელმისაწვდომობა და ეს მათ ხელს უშლის დაინახოს, რომ ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები სერიოზულად განსხვავდება სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული მონაცემებისაგან. ეს შეეხება როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ სფეროს:

- პოლიტიკური სიტუაციის დახასიათებისას თვალშისაცემია, რომ პოლიტიკური ლიდერების მიერ "ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობაზე" აპელირებამ უკანა პლანზე გადაწია ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმირების პროცესი. რეფორმირების პროცესში მთავარ სლოგანად იქცა სწრაფი ქმედებებისათვის დამახასიათებელი ფრაზა - "ახლა ფიქრის დრო არ არის."
- სოციალ-ეკონომიკური მიმართულებით ულტრალიბერტერიანული რიტორიკა რეალურად სახელმწიფოსა და ბიზნესის შერწყმას და მონოპოლიების უმაღლესი ძალაუფლების მქონე პოლიტიკოსების ხელში კონცენტრაციას ნიღბავს. შედეგად შეფერხდა სოციალური სტრუქტურების რესტავრაციის პროცესი იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტებმა, ისე როგორც ინსტიტუციონალიზებულმა სოციალურმა ურთიერთობებმა, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში სრული კოლაფსი განიცადეს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ორივე სფეროში არსებული რამდენიმე პარამეტრი.

პოლიტიკური სფერო. პოლიტიკური კონტექსტის დახასიათებისას საერთაშორისო ორგანიზაციები აღნიშნავენ სიტუაციის გაუარესებასის ტენდენციას, განსაკუთრებით 2007 წლიდან მოყოლებული. ის გარკვეული წარმატებები, რაც ახალი ხელისუფლების მმართველობის პირველ წლებში განხორციელდა, მთელ რიგ სფეროებში სტაგნაციით და, გარკვეულწილად, რეგრესით შეიცვალა.

Freedom House-ის მონაცემების თანახმად შეიძლება შეფასებისას (სადაც 7 - უარესს ნიშნავს):

- საარჩევნო პროცესი 5 ქულითაა შეფასებული. ანალოგიური ქულა გააჩნდა საქართველოს 2002 წელსაც. ამასთან ერთად 2009 წლიდან საქართველო უკვე აღარ წარმოადგენს "არჩევითი დემოკრატიის" ქვეყანას, რომელშიც, ჯერ კიდევ 2008 წელს, სხვა 119 ქვეყანასთან ერთად იმყოფებოდა.
- 2011-თვის, 2001 წელთან შედარებით, გაუარესდა მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი (3.5 ქულიდან 4.25 ქულამდე). დღეისათვის საქართველო (60 ქულა ასბალიან შკალაზე) ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყანად ითვლება და მჭიდროდ მიუახლოვდა არათავისუფალი ქვეყნების მაჩვენებელს (61 და ზევით).
- ასევე გაუარესდა ხელისუფლების დემოკრატიულობის ხარისხი - 5.0 ქულა (2002), 6.0 ქულა ეროვნული ხელისუფლების, ხოლო 5.5 ქულა ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის (2010).
- შემცირდა სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი - 4.25-დან (2002) 5.0-მდე (2011).
- კორუფციის ხარისხი და მისი მოლოდინი საზოგადოებაში, საქართველოს ხელისუფლების მრავალგზისი დეკლარირების მიუხედავად, კვლავ 2000 წლის დონეზეა (5.0 ქულა - 2011), რაც მასობრივი კორუფციის შემცირების მიუხედავად, ელიტარული კორუფციის მაღალ ალბათობაზე მეტყველებს.

აღნიშნულს ადასტურებს Transparency International-ის მონაცემებიც. Corruption Perceptions Index-ის მიხედვით - საქართველო 64 ადგილზეა მსოფლიოში.

საჯარო სექტორში აღქმული კორუფციის დონე, საერთაშორისო გამჭვირვალობის თანახმად, 2008 წელს ათბალიან სისტემაში 3.9-ს წარმოადგენდა. ამ მონაცემით საქართველო სვაზილენდსა და განას შორის დგას და კორუფციის საშუალოზე მაღალ დონეზე მიუთითებს. მაღალია საზოგადოების უნდობლობის ხარისხი სახელმწიფოს ანტიკორუფციული პოლიტიკისადმი.

ერთადერთი სფერო, სადაც მიღწეულ წარმატებას საერთაშორისო ორგანიზაციებიც აღნიშნავენ, არის სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტიანობის, რეგულირების ხარისხის და კორუფციაზე კონტროლის ზრდა, რომელთა მაჩვენებელიც, "ვარდების რევილუციის" შემდეგ, სამჯერ-ოთხჯერ გაიზარდა (შესაბამისად 64.1%, 70.8% და 54.1% - 2010 წელს). თუმცა დემოკრატიულობის ხარისხის ზრდის გარეშე ამ მაჩვენებლების ცვლა, ლიბერალური რიტორიკის საფარქვეშ, სახელმწიფო სტრუქტურების როლის ზრდაზე მეტყველებს.

სოციალური და ეკონომიკური კონტექსტი. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ხშირად აპელირებს ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებაზე, ამ სფეროშიც სერიოზული პრობლემებია სახეზე. World Bank-ის მონაცემების მიხედვით, 2010 წელს საქართველო მსოფლიოში 135 ადგილზე იყო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით (2.690 აშშ დოლარი), რითაც 3.5-ჯერ ჩამორჩებოდა გასაშუალებულ მსოფლიო მონაცემს, ხოლო 14.5-ჯერ - ევროზონის მაჩვენებელს.

ქვეყნის მცხოვრებთა 14.7%-ის დღიური შემოსავალი 1.25 აშშ დოლარზე ნაკლებია (2011), ხოლო 30.4%-ისა - 2 დოლარზე ნაკლები. 2000-2006 წლებში მოსახლეობის 54.5% სახელმწიფოს მიერ დადგენილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით საბჭოთა პერიოდშიც ცხოვრების ხარისხი დღევანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი იყო. დღეს, XX საუკუნის 80-იან წლებთან შედარებითაც კი სიტუაცია მკვეთრად გაუარესებულია:

- 2008 წლისათვის ელექტროენერჯის მოხმარება ერთ სულზე მსოფლიოში 2876 კვტ/სთ იყო, ევროზონაში - 6925 კვტ/სთ, საქართველოში - 1649 კვტ/სთ. 1990 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოში 3039 კვტ/სთ-ს უდრიდა.
- 2008 წლისათვის სულზე მსოფლიოში 1839 კგ პირობითი საწვავი მოდიოდა, ევროზონაში - 3738 კგ, საქართველოში - 681 კგ. 1990 წელს სულზე საქართველოში 2521 კგ. პირობითი საწვავი მოდიოდა.

ამრიგად, თუ 1990 წელს საქართველო ევროპის ქვეყნების მაშინდელ დონესთან ავლენდა საერთოს, დღესათვის იგი საშუალო მსოფლიო მაჩვენებელსაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

თუ 1989 წელს საქართველოს მშპ-ში სამრეწველო პროდუქციისა და მომსახურების წილი 42.4% იყო, 2009 წლისათვის იგი 29.5%-მდე დაეცა.

ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება სოციალურ სფეროში მოქალაქეთა ცხოვრების დონეზეც ნეგატიურად აისახება:

- UNDP-ის ჰუმანური განვითარების ინდექსი 2011 წელს (0.733) 2000 წლის ნიშნულზე (0.739) დაბალია. ამ მხრივ საქართველოს 75 ადგილი უკავია (2011), რითაც ჩამორჩება როგორც OECD ქვეყნების, ისე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე დსთ-ის ქვეყნების მაჩვენებლებს და უფრო ლათინური ამერიკისა და კარიბის ზონის ქვეყნებთან პოულობს საერთოს..
- თუ 1991 წელს 13-14 წლის მოზარდების 2.9% აღარ აგრძელებდა სკოლაში სიარულს და პროფესიულ სასწავლებლებში გადადიოდა, 2008 წლისათვის 10-11 წლის ბავშვების 13.3% საერთოდ აღარ დადის სკოლაში. გაჩნდა წერაკითხვის უცოდინარ ახალგაზრდათა ფენა (მაღალმთიანი რეგიონების პატარა სოფლებში - 5-6%), მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 2005 წლისათვის საქართველო, წერა-კითხვის ცოდნის მხრივ (100%), მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფებოდა.
- შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი (71.6 წელი - 2007 წელს), რითაც საქართველომ უკან, მსოფლიოში 90-ადგილზე გადაინაცვლა (ფილიპინებსა და იამაიკას შორის). დაბალი შობადობისა და სიკვდილიანობის ზრდის პირობებში ბუნებრივი ნამატი წლიური 0.6%-დან (1990-1995) 0%-მდე (2005-2010) დაეცა.
- ჯანდაცვის სფეროებში სხვა ნეგატიური პროცესებიდან აღსანიშნავია ის, რომ: XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში პირველად აღინიშნა მალარიით დაავადების შემთხვევები; იმატა ტუბერკულოზით დაავადებულთა ოდენობამ (1990-2005 წლებში 53-დან 84

შემთხვევამდე ყოველ 100.000 მცხოვრებზე, ამასთან ეს მონაცემი მხოლოდ რეგისტრირებულ ავადმყოფებს გულისხმობს); მშობიარობას გადაყოლილ დედათა ოდენობა ყოველ 100.000 ცოცხლადშობილზე გასამკეცდა - 22-დან (1995) 66-მდე (2005).

სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლება საჯაროდ არ ახდენს ყველა ამ პრობლემის დეკლარირებას. თავისთავად ის ფაქტი, რომ საზოგადოების მხრიდან დისკუსიის ფორმატში განხილვის მოთხოვნა არ არსებობს, სახელისუფლებო PR ტექნოლოგიების როლზე მეტყველებს. ზოგიერთი ჩემი კოლეგა საქართველოში არსებულ ამ სისტემას Powerpointocracy-ს უწოდებს პრეზენტაციების გადაჭარბებული როლის გამო.

ქვეყნის რიგით მოქალაქეს კი, ვინც მაინც ახერხებს ასეთი სახის ინფორმაციის მოპოვებას, აქვს არჩევანი: ენდოს ან საქართველოს ხელისუფლების, ან საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს.